საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი
09. 10. 2020 წელი შეფასების დეპარტამენტს
ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქუჩა №6

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთაში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე შპს **„ახალი ქარხანა"**-ს (ს/კოდი 433647495) კუთვნილებაშია ასფალტო-ბეტონის საწარმო. საწარმოს გათვალისწინებული აქვს წლიურად დაამზადოს 30000 ტონა ასფალტი.

მიმდინარე პერიოდისათვის საგზაო მშენებლობის ბაზარზე შექმნილი რეალობის გათვალისწინებით და ხსენებულ პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტს განსაზღვრული აქვს გაზარდოს ასფალტის წარმოება წელიწადში 125000 ტონამდე, მათ შორის ქვედა შრის მსხვილმარცვლოვანი- 50000 ტ/წელ და ზედა შრის წვრილმარცვლოვანი-75000 ტ/წელ, დღესდღეობით არსებული ტექნოლოგიებისა და პირობების შეუცვლელად.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მოთხოვნებების შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას. გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

თანდართულია:

1. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2017 წლის 20 აპრილის № 27 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა - 6 ფურცელი;
2. საწარმოს ჰაერგამწმენდი აგრეგატი (სისტემა) – 1 ფურცელი;
3. საწარმოს სიტუაციური გეგმა - 1 ფურცელი;

სულ 8 ფურცელი.

პატივისცემით,

შპს „ახალი ქარხანა"-ს დირექტორი ილია კეკელიძე

№ 16302
"16" 10 2020 წ.